ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

III კვარტალი, 2022

სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- 2020 წლიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში-სამინისტრო) ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს, რომლის მიზანია ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საფრთხეებისა და სამინისტროს მხრიდან გადადგმული ნაბიჯების, ცვლილებების და მიღწეული შედეგების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. სამინისტრო ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook"-ის გვერდზე რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.
- სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

  მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 19 ივლისს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების უმაღლეს საფეხურზეა და კვლავ ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან

ბრძოლის სტანდარტებს. აღნიშნული ინფორმაცია გაშუქდა მედიის საშუალებით, ასევე, გამოქვეყნდა სამინისტროს არხებზე.

- 2022 წლის აგვისტოს თვეში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) წინააღმდეგ ბრძოლა“ - ფარგლებში, ორგანიზაციის მიერ დამზადდა ფლაერები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) საკითხებზე, ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე (35 000-მდე). აღნიშნული საინფორმაციო ფლაერები გადაეცა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს და მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით განთავსდა საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში (თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტები, სარფის, დარიალის, წითელი ხიდის, სადახლოს გამტარ პუნქტებში).
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „პოლიციის ფაილების“ ძველი სერიების გაშუქება სამაუწყებლო კომპანიის „რუსთავი-2“ ეთერში, რომლებიც სწორედ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ეხმიანება და საზოგადოებას უჩვენებს საქართველოში რეალურად მომხდარ, გახმაურებულ კრიმინალურ შემთხვევებს.
- საქართველოს ინტერპოლს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს ინტერპოლის წევრ ქვეყნებს შორის. უწყება აქტიურად არის ჩართული ინტერპოლის მრავალ საერთაშორისო პროექტში, რომელთა მიზანია საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმის, ბავშვთა პორნოგრაფიის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, აგრეთვე, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოპარული კულტურული ხელოვნების ნიმუშებისა და გატაცებული სატრანსპორტო საშუალებების ძებნა.
- 2022 წლის 29 სექტემბერს, საქართველოს ინტერპოლში გაწევრიანების დღესთან დაკავშირებით, სამინისტროს ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდზე განთავსდა საინფორმაციო ბანერი, აგრეთვე, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელი სტუმრად იმყოფებოდა სატელევიზიო ეთერში, სადაც ისაუბრა ორგანიზებული დანაშაულის შესახებ და საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

<u>საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება</u>

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

  უწყებამ, პრაქტიკაში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები შეიმუშავა, რომლებიც ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას.

  კანონპროექტის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განსაზღვრული ცვლილებებით, დასჯადი გახდება ე.წ. დრიფტი, რაც გულისხმობს ავტომობილის განზრახ მოცურებას/მოსრიალებას ან/და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელებას. ასევე დასჯადი ხდება ჩამოწერის შედეგად აღრიცხვიდან მოხსნილი სატრანსპორტო საშუალების მართვა და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

  ცვლილება შედის აგრეთვე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში. რიგი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებულია მართვის მოწმობისთვის მინიჭებულ ქულათა რაოდენობის შემცირება.

  „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა.

  აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა მედიასაშუალებებში, ასევე, საინფორმაციო ბანერი განთავსდა სამინისტროს „Facebook“-ის გვერდზე.

<u>კამპანია - „ემეგობრე პოლიციას“</u>

- სამინისტროს მხრიდან მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის განვითარებისთვის, საშემოდგომო სეზონზე, სამინისტროს კამპანიის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიგეგმა სახალხო ღონისძიებების ჩატარება სახელწოდებით - ,,ემეგობრე

პოლიციას“. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბავშვებსა და მოზარდებზე, რადგან მათთვის აუცილებელია შემეცნებითი და სოციალურ-ემოციური განვითარება.

პირველი ღონისძიება ქალაქ ბათუმში, 2022 წლის 29-30 სექტემბერს გაიმართა. სახალხო ღონისძიებაზე მოზარდებს და ყველა დაინტერესებულ ადამიანს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობას, ასევე, დაეთვალიერებინათ სამინისტროს საპატრულო პოლიციის, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“, სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს, სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ - დაცვის პოლიციის და სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა და აღჭურვილობა. ღონისძიებაზე მოსულმა ბავშვებმა, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში. ამ გზით მათთვის ნათელი და გასაგები გახდა ის, რომ პოლიცია არის სამართალდამცველი, დამხმარე ძალა, რომელიც ნებისმიერ დროს მზადაა, მოქალაქეს დახმარება გაუწიოს.

სამინისტროს კამპანიას - „ემეგობრე პოლიციას“ განგრძობითი ხასიათი ექნება. სახალხო ღონისძიებების პარალელურად, პროექტი მოიცავს სამინისტროს დანაყოფების, კერძოდ, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ - შსს მომსახურების სააგენტოს და სსიპ -საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი "112"-ის წარმომადგენლების ვიზიტებს სკოლებში. საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები გაიმართება მოსწავლეებთან, რომლის მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ღონისძიება გაშუქდა სოციალურ ქსელში, სამინისტროს ოფიციალური გვერდის, სააგენტოების და სატელევიზიო არხების საშუალებით, მათ შორის პირდაპირ ეთერებში.

აღნიშნული პროექტი -,,ემეგობრე პოლიციას“ გაგრძელდა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქი მოიცვა.

<u>სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი -„112“</u>

- **2022 წლის 8 ივლისს,** სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს „112“, აშშ საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მრჩეველი პოლიციის საკითხებში, გამოძიების ფედერალური ბიუროს ატაშე და აშშ საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების ოფისის წარმომადგენლები ეწვივნენ.

  სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ დირექტორმა დელეგაციის წარმომადგენლებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო.

  სტუმრები ადგილზე გაეცნენ სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ მუშაობის სპეციფიკას, კერძოდ, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედი ვიდეომეთვალყურეობის სისტემისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის დანერგილი ელექტრონული მონიტორინგის პროცესებს.

  ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია, წარმატებით თანამშრომლობს კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და სხვა მიმართულებებით.

  აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდსა და ვებგვერდზე.

- **2022 წლის 23 სექტემბერს,** სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტმა „112“ დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა.

  აღნიშნული უფლება ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან მიიღო.

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ სასწავლო ცენტრს, დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს, ქოლ-ცენტრის ოპერატორების გადამზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციებს.
2020-2021 წლებში, პანდემიიდან გამომდინარე, ძირითადი დატვირთვა ქოლ-ცენტრებსა და მომსახურების ცენტრებზე განხორციელდა. სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და უმოკლეს დროში მოახერხა ახალ გარემოებებთან ადაპტირება.
სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ მიზანია სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სახელმწიფო თუ კერძო კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საკუთარი რესურსის გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით.
პროგრამაზე განაცხადის შემოტანა შეუძლიათ როგორც სახელმწიფო სექტორის უწყებებს და კერძო კომპანიებს, ასევე, უშუალოდ ქოლ-ცენტრებში დასაქმების მსურველ კერძო პირებს. ტრენინგის დასრულების შემდგომ, მსმენელებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები გადაეცემათ.
პროგრამას განახორციელებენ სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ სასწავლო ცენტრის ტრენერები.სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ სასწავლო ცენტრი 2015 წელს შეიქმნა და დღემდე 8000-მდე პირი გადამზადდა, მათ შორის მომიჯნავე სამსახურების წარმომადგენლები.
აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე. აგრეთვე, ასევე სხვადასხვა სააგენტოსა და ტელევიზიებში.

- **2022 წლის 29-30 სექტემბერს,** ქალაქ ბათუმში, პროექტის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოზარდებს, სპეციალური საინფორმაციო ბარათების გამოყენებით, მათთვის

შექმნილ თამაშებში მონაწილეობას სთავაზობდა, საიდანაც ბავშვები ეცნობოდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში და როდის უნდა დარეკონ სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტში „112“. გამარჯვებული ბავშვებისთვის დაწესებული იყო სხვადასხვა სახის პრიზი. აღნიშნული აქტივობა უკავშირდებოდა ბავშვებსა და მოზარდებში ცნობიერების ამაღლებას სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“ საქმიანობის შესახებ.

<u>სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

- **2022 წლის 24 ივლისს,** სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირების დონის გაზრდის მიზნით, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სწავლება ჩაატარა.
  ღონისძიება ორი ნაწილისგან შედგებოდა - პირველ ეტაპზე სააგენტოს თანამშრომლებმა თეორიული ინფორმაცია მიიღეს საგანგებო სიტუაციების სახეობების და ქცევის წესების შესახებ, ხოლო მეორე ეტაპზე მოხდა სააგენტოს მიერ მომზადებული საგანგებო მართვის გეგმის გამოცდა პრაქტიკაში, სიმულაციურ გარემოში.
  საგანგებო სიტუაციის, კერძოდ, ხანძრის სიმულაციის დროს, სააგენტოს თანამშრომლებს უშუალოდ მოუწიათ ევაკუაციის პროცედურებში ჩართვა. ასევე, მეხანძრე-მაშველების მიერ მოხდა შენობიდან ''დაშავებულების'' გამოყვანა და ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება.
  პროცესში, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ჩართული იყვნენ სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომლები.
  სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარების კუთხით აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან. თანამშრომლობის ფარგლებში ხდება საგანგებო მართვის გეგმების შექმნა და შემდგომში,

აღნიშნული გეგმის სიმულაციური ვარჯიშის მეშვეობით გამოცდა, რაც პერსონალის უნარ-ჩვევების გამომუშავებას ისახავს მიზნად.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალურ „Facebook"-ის გვერდსა და ვებგვერდზე.

- **2022 წლის 28 სექტემბერს,** ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში პროექტი „მოხალისე" დაიწყო.

  „მოხალისე" საზოგადოებრივი პროექტია, რომელიც სტიქიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის პროცესებში მოხალისეთა ჩართულობას უზრუნველყოფს. პროექტი ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების ორგანიზებულ ჩართულობას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში, ხანძრების შემთხვევაში კი პირველადი რეაგირების დრო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. პროექტ „მოხალისის" მონაწილეების უსაფრთხოებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური გააკონტროლებს.

  შერჩეულ მოხალისეებს ადგილზე გადაამზადებენ სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები, რის შემდეგაც ისინი სრულად ჩაერთვებიან აღნიშნულ პროექტში. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა პროექტ „მოხალისის" განხორციელება 2019 წელს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან დაიწყო. ამ დროისთვის პროექტში სულ 313 მოხალისეა ჩართული.

  პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალურ „Facebook"-ის გვერდსა და ვებგვერდზე.

- **2022 წლის 29-30 სექტემბერს,** პროექტის - „ემეგობრე პოლიციას" ფარგლებში, ქალაქ ბათუმში, სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს წარმოდგენილი ჰქონდა საავტომობილო ტექნიკა და მეხანძრე-მაშველების სპეცაღჭურვილობა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შეეძლოთ სამსახურის მიერ შექმნილ სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის მიღება და სპეცტექნიკის დათვალიერება.

- **2022 წლის 30 სექტემბერს,** სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარ სამმართველოს თელავის მუნიციპალიტეტის სამი ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ეწვივნენ.

  ბავშვებმა, ცნობიერების ამაღლების მიზნით, მეხანძრე-მაშველებისგან მათი პროფესიის შესახებ ინფორმაცია მიიღეს და სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული სამაშველო-სახანძრო სპეციალური ტექნიკა და აღჭურვილობა დაათვალიერეს.

  სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან მსგავსი ტიპის ღონისძიებებს სისტემატურად ატარებს. ბავშვებთან შეხვედრების მთავარი მიზანია საგანგებო სიტუაციების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

  ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალურ „Facebook"-ის გვერდსა და ვებგვერდზე.

- **2022 წლის 30 სექტემბერს,** სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, ქალაქ თბილისში მაარიფის ინტერნაციონალურ სკოლაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო ღონისძიება ჩაატარა.

  სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის ექსპერტებმა მოსწავლეებს საგანგებო სიტუაციების სახეობებისა და მათი პრევენციის, ასევე, ევაკუაციის პროცედურებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. სამსახურის წარმომადგენლებმა სკოლის აღსაზრდელებს გააცნეს იმ სახანძრო-სამაშველო ტექნიკისა და აღჭურვილობის სახეობები, რომლებსაც სამაშველო ოპერაციების წარმოებისას იყენებენ.

  სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ სწავლებებს სისტემატურად ატარებს. შეხვედრების მიზანია საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება.

<u>სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი</u>

- **2022 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში** ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ (PMCG) ორგანიზებით, შშმ პირთა კომუნიკაციის სტანდარტების თემაზე სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის - 196 მართლწესრიგის ოფიცერი, სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის - 57 თანამშრომელი და სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის - 557 თანამშრომელი გადაამზადეს. ტრენინგები მიზნად ისახავდა სამინისტროს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას შშმ პირებთან ურთიერთობის სტანდარტების თაობაზე;

- **2022 წლის 15 სექტემბერს,** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს, ააიპ „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის, რეაგირების და გამოძიების მიმართულებით. ღონისძიება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროექტის ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული პროექტი მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის სამ ქვეყანას - საქართველოს, რუმინეთს და ბულგარეთს. პროექტის მიზანია ცნობიერების ამაღლება, ადვოკატირება, პოლიციელების/გამომძიებლების/პროკურორების გადამზადების/ტრენინგების ხელშეწყობა;
- **2022 წლის 20 სექტემბერს,** სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისში, სასტუმროში „ფაბრიკა“, ევროპის საბჭოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრა/ვორკშოპში, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილია „საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკის სისტემური ანალიზისა და პოლიტიკის ანგარიშში“. თემატურ

შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა ცნობიერების ამაღლება, კონტრმეტყველებისა და განათლების როლი სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც საჯარო, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები;

<u>სამინისტროს სსიპ - შსს მომსახურების სააგენტო</u>

- **2022 წლის 3 სექტემბერს,** სამინისტროს სსიპ - შსს მომსახურების სააგენტომ ახალი მობილური აპლიკაცია შექმნა და სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე მომხმარებლის პირადი გვერდი განაახლა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სააგენტოს ელექტრონული სერვისებით სარგებლობა. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდა, როგორც სააგენტოს სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე, ასევე საინფორმაციო პორტალებსა და სატელევიზიო სივრცეში.
- პროექტის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, 2022 წლის 29-30 სექტემბერს, ქალაქ ბათუმში, სამინისტროს სსიპ - შსს მომსახურების სააგენტომ ღონისძიების სტუმრებს იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლა და ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო გამოცდის ჩაბარებას სთავაზობდა.